


ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!
გილოცავთ აღდგომის ბრწყინვადე დღესასწაულს!



ხაშურის მთაშენი



№15 (96)

16 აპრილი, კვირა 2017 წელი

აღდგომის სიხარულს დაესადგურებინოს თქვენს ოჯახში

ხაშურის მუნიციპალიტეტი გილოცავთ ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის ერთ-ერთ უდიდესს - ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს!

აღდგომა საყოველთაო განახლების, სიკვდილზე გამარჯვების დღეა!

აღდგომის სიხარულს დაესადგურებინოს თითოეული თქვენგანის სულსა და ოჯახებში, ძვირფასო თანამოქალაქნო!

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

გიორგი გურასპაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი

შევთხოვთ უფალს ქართველი კაცის სულიერი და მატერიალური გაძლიერება

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა სახელით, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მინდა მივულოცო ჩვენი რაიონის მკვიდრთ, ყველა ქრისტიანს და მართლმადიდებელს!

აღდგომა ქართველთა ყველაზე საყვარელი რელიგიური დღესასწაულია, წინაპრების და იმკვყენად წარსულთა მოგონების, სიცოცხლის აღორძინების და ქვეყნის გაძლიერების, რწმენის განმტკიცების, ეკლესიასთან ქართველი კაცის ერთობის გამოხატულების.

შევთხოვთ უფალს ქართველი კაცის სულიერი და მატერიალური გაძლიერება და ფეხზე დადგომა, ერთმანეთის სიყვარული და თანადგომა.

აღდგომას გილოცავთ, ჩემო ძვირფასო ხაშურელებო!

ქრისტე აღსდგა!

ვაჟა შუბითიძე,

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე



აჲ აჲს სასწაული, უფიჲ დამონმებური, აჲ აჲს ჭეშმარიტება უფიჲ გასახაჲი ადამიანის გულისათვის, ხოგოჲც ქიხსტეს ყოვლიდებური მკვიდრით აღდგომა!

მოკლედ გვიყვებიან წმინდა მახარებლები უფლის აღდგომაზე, მის გამოცხადებაზე მენელსაცხებლედ დედებთან და მოწაფეებთან; მაგრამ ამ მცირეოდენშიც ჩვენი გული შეიგრძნობს ამ სიხარულის სიჭარბეს, რომელმაც ადავსო გულები წმინდა კეთილმარწებლებისა, იმ ზეციურ სიხარულს, რომელიც ვერ გამოიხატება სიტყვებით, და არ ავრცობს რა დაწვრილებით, აჩენს მას უმეტესად აღფრთოვანებით საესე გულის წამოძახილში: „რაბბუნი!... უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ (ინ. 20, 16, 28). და ამ წმინდა სიხარულის გამოძახილად ჩვენ გულებში ჩნდება ჩვენი ტკბილი საადღგომო მილოცვა „ქრისტე აღსდგა - ჭეშმარიტად აღსდგა!“ გადმოვცემთ ქრისტეს აღდგომის სასიხარულო დიდის მოვლენები თანმიმდევრობით, მათე მახარებლის მიერ მონათხრობის შემავსებელი სხვა მახარებლის მიერ უწყებულთ, და ამ მოვლენებთან დაკავშირებული თეოფანე დაყუდებულის მითითებებით.

წმ. მახარებელი მათე გვაუწყებს, რომ ხოლო მწუხრი შაბათისა ის იყო გავიდა დიდი დღესასწაულის გამო დასვენების დრო, ვიდრე საფლავთან დაცვას დააყენებდნენ, რომელი განსთენდებოდა ერთ-შაბათად, - ხოლო ებრაელებთან, როგორც ცნობილია, დღე იწყებოდა საღამოდან, - მოვიდა მარიამ მაგდალინელა, და სხუა იგი მარიამ, ხილვად საფლავისა მის. წმინდა დედები მოვიდნენ, რათა ენახათ მათთვის ძვირფასი საფლავი, იყო თუ არა ყველაფერი ისე, როგორც დატოვეს გუშინ, და სახლში დაბრუნებულებმა თავისთან კიდევ მიიწვიეს ზებედეს შვილების დედა, სალომეა, წავიდნენ არმატის შესაძენად იესო ქრისტეს გვამისათვის საცხებლად. იმავე საღამოს, წმინდა დედები, უეჭველია, შეხვდნენ იოანასაც, იროდის სახლის გამგებლის ცოლს და სხვა დედებს, რომლებიც მოყვებოდნენ იესოს გალილიიდან


და ბჭობდნენ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ დილით. გადაწვეტილი იყო: ქალაქში არ გამოჩენილიყვნენ ერთად, რათა არ მიეყროთ ყურადღება, არამედ ერთმანეთისათვის დაეცადათ საფლავთან, იოსებ არიმათიელის ბაღში, რათა ყველას ერთად შეესრულებინა იესოს სხეულის ცხება. ისინი არ ჩერდებოდნენ ერთ რომელიმე სახლში, ამიტომ არ შეეძლოთ ზუსტად იმის ცოდნა, ვინ როდის გამოვიდოდა. დაცვის შესახებ მათ არაფერი იცოდნენ. სხვათა შორის, ალბათ შუადამისას, და ამა ძრვა იყო დიდი, მიწა ძლიერ შეიძრა „და არც შეეძლო, - ამბობს მთ. ეპ. ინოკენტი, - რომ არ შეძრულიყო, იმიტომ რომ მისი წიაღიდან ახლა გამოდიოდა მკვდართაგან პირველი“, რომლის დიდებული აღდგომის მოწმენი გახდნენ ზეცისა ძალნი: რამეთუ ანგელოზი უფლისა გარდამოჰხდა ზეცით, მოვიდა და გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა და დაჰსჯდა მას ზედა.

უფლის ყოვლადწმინდა გვაში საფლავში უკვე აღარ იყო. იგი აღდგა, დაბეჭდილი საფლავიდან, გამოვიდა სამარიდან ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ქვაც თავის ადგილას იდო, და ბეჭდებიც მთელი იყო, გამოვიდა ისევე სასწაულებრივად, როგორც შემდგომ სასწაულებრივად წარდგა მოციქულებთან კარდასშულ სახლში. „მსგავსად იმისა, როგორც მოხდა მისი შობისას, როცა დაცული იქნა ბეჭედი მისი კურთხეული დედის ქალწულობისა, ასევე აღდგა, დაიცვა რა უვნებლად ბეჭედი საფლავისა“ (ე. ზიგაბენი). დედამიწის მკვიდრთაგან არავინ შეიქნა ღირსი უფლის საფლავიდან დიდებული აღდგომის ხილვისა, რადგან არავის ძალუძს ამის დანახვა; მოკვდავ თვალს არ შეეძლო, გაეძლო იმ მიუახლებელი ნათელისათვის, როგორშიც დატოვა აღდგომილმა საწოლი სიკვდილისა. ზეციურმა მაცნემ ლოდი მოაცილა საფლავს მხოლოდ იმისათვის, რათა ყველას შეძლებოდა დანახვა, რომ საფლავი უკვე ცარიელი იყო... „წმინდა მამანი და მასწავლებლები ერთხმად ამბობენ, რომ იესო ქრისტეს აღდგომა მოხდა მამლის პირველი ყოვილისას, რაც წინ უძღოდა უკვე კვირა დღის გათენებას. ამიტომ მეექვსის, ანუ ჩვენი დროის თორმეტი საათის შემდეგ, კეთილმოსავე ადამიანები წვეტენ მარხვას და იწყებენ ზეიმს“ (ე. ზიგაბენი). იგი აღდგა მესამე დღეს, როგორც წინასწარმეტყველი, აღდგა მესამე დღის დაწყებისას, თითქოს დაეშურა კიდევ სიკვდილზე გამარჯვების უწყებას. „ადრე დადგენილების დროზე ადრე შესრულება მოწმობს ძალას, ხოლო დროის შემდგომ აღსრულება ნიშანი იქნებოდა ძალის უქონლობისა. და მეფვეც, შეპირდება რა ვინმეს რაიმე სიკეთეს განსახდერულ დღეს, შემდეგ კი სიკეთეს გააკეთებს დაპირებულზე უფრო ადრე, არა მარტო შეასრულებს დანაპირებს, არამედ უმატებს ახალ წყალობასაც, ნაჩქარევი შესრულებით“ (ე. ზიგაბენი). „შეეძლო მას, - ამბობს წმ. ათანასი აღექსანდრიელი, - თვით სიკვდილის უამსაც, აღეშარა სხეული და სწვენებოდა ისევე ცოცხალი, მაგრამ შეგნებულად და წინდახედულად არ მოიმოქმედა ეს, რადგან იტყოდნენ, რომ სხეული საერთოდ არ მომკვდარაო“.



შეიძლება წარმოდგენა იმ საშინელებისა, რომელიც მოიცავდა ყველა დამცველს საფლავისა, იმ დროს რომ ფიზიკობდა ქრისტეს სამარის კართან? უკვე ბრწყინვალე ანგელოზის ხილვამ დამის წვედიადში, მათ თვალი დაუბნელა: ხოლო იყო ხილვა მისი, ვითარცა ელვა, და სამოსელი მისი სპეტაკ, ვითარცა თოვლი. იგი მთლიანად ბრწყინავდა არამიწიერი სიწმინდით, დიდებით, ღვთის დიდების ნათლით. ერთი შეხებით გადააგორა მან უზარმაზარი ლოდი გამოქვაბულის შესასვლელიდან, და აფრქვევდა რა ელვას თავის გარშემო, მშვიდად ჩამოჯდა მასზე.

ყოველ ადღომას, როგორც წესი, თითქმის მუდამ ახლავს პოლემიკა თუ რომელი ფორმულირებაა სწორი – „აღდგა“ თუ „აღსდგა“. ამის შესახებ ჩვენ ჯერ კიდევ გასულ წელს გავაკეთეთ განმარტება, მაგრამ, რადგან ეს თემა კვლავ აქტუალურია, თავს ნებას ვაძლევთ, კიდევ ერთხელ შემოგთავაზოთ ეს განმარტება და, შეძლებისდაგვარად, წერტილი დავუსვათ კამათს.



„აღდგა“ ერთპირიანი და მესამე სუბიექტური პირის ზმნაა. ცხადზე ცხადია, რომ მესამე ირიბი ობიექტის ნიშანი „ს“ მასთან არ უნდა იყოს, რადგან მას ირიბი ობიექტი საერთოდ არ ეწყობა. მაგრამ აქ სრულიად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ჯერ ერთი, თვითონ ქრისტეს აღდგომა სასწაულებრივ მოვლენას გულისხმობს – ყველანაირი მოვლენისა თუ ფაქტისგან სრულიად განსხვავებულს, ამიტომ ვითომ რატომ არ უნდა გამოირჩეს დანარჩენი „აღდგომისა“ თუ „ადგომისაგან?“

სულ უბრალო მაგალითის მოყვანაც საკმარისია, რომ დავარწმუნოთ ამის ჭეშმარიტებაში. ვთქვათ, რაღაც ხუხულა იდგა, ქარმა დაანგრია და შემდეგ მეპატრონემ აღადგინა (შემინდევ, უფალო, თუ უხერხულ შედარებას ვაკეთებ). გასაგებია, რომ ხუხულა აღდგა. ამ კონტექსტის შემდეგ შეიძლება იმ სასწაულ მოვლენაზეც იგივე სიზუსტით

“აღდგა” თუ “აღსდგა”

ვისარგებლოთ ფონემების რიგითობით და ვთქვათ ქრისტე აღდგა? არამც და არამც! მეტიც, მკრეხელობაც კი გვერია ასეთი გამოთქმა. დიას, გრამატიკული კატეგორიები შორს უნდა დავიჭიროთ ამ მოვლენის „აღსაწერად“, რადგან, ამ შემთხვევაში, მთავარი გრამატიკულად მისაღები კი არა, გულისთვის და სულისთვის მისაღები ფორმა უნდა

ავახშიანოთ – აღსდგა. მე არ მინდა, მკითხველს თავი შევაწყინო ლინგვისტური წიაღსვლებით და ძალიან მოკლედ ვიტყვი: ლინგვისტიკაში არსებობს ცნება უზუსი, რაც, ერთგვარად, სალიტერატურო ნორმებთან დაპირისპირებას გულისხმობს. სულ უბრალო მაგალითი: ოფიციალური წერილისას, თუ პიროვნებას მიემართავთ და წერილს ამ მიმართულებით ვიწვებთ (მაგალითად, ბატონო გიორგი), გრამატიკულად აუცილებელია მიმართვის ბოლოს ძახილის ნიშნის დასმა, მაგრამ დიპლომატიკაში, თუ ისეც, ამ ძახილის ნიშანს არავინ ხმარობს, მის ნაცვლად გამოიყენება სასვენი ნიშანი მძიმე (რაც, რა თქმა უნდა, გრამატიკული კაზუსია). ეს იმიტომ, რომ ძახილის ნიშანი, ერთგვარად, ბრძანების ფორმას ძენს ამ მიმართულებას, მძიმე კი არბილებს მას და მასში პატივისცემა უფრო იკითხება.

ესეც არ იყოს, „ს“-ს შემოტანით (ანუ ირიბი ობიექტი „გამოჩენით“) ჩვენ უფრო სამპირიანობის განცდას ვეუფლებით, ანუ შემოგვაქვს ჰიპოსტოსი წმინდა სამების სახით.

დიას, თამამად ვთქვათ „აღსდგა“, რადგან ამ ზმნაში მოკრძალებაც, რიდიც და მოწიწებაც უფრო ნათლად ჩანს უფლისადმი. ასე, რომ ქრისტე აღსდგა, მეგობრებო!

გოგი გოგოლაძე



დასუფთავების აქცია სურამში

„ვამზადებთ სურამს ახალი ტურისტული სეზონისთვის!“-ამ მოწოდებით გაიმართა დაბა სურამში აქცია, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართულები საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაცია, მზოგავი ტურიზმის განვითარების ცენტრი, ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო.

აქციაში, ასევე, მონაწილეობდნენ სკოლის მოსწავლეები, რაგბისტები და ხაშ

ურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ები. აქციის ფარგლებში, დასუფთავდა ტურიზმის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილები, მათ შორის სურამის ისტორიული ციხე.

მზოგავი ტურიზმის განვითარების ცენტრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იგეგმება სერიოზული მუშაობა კურორტის განვითარების თვალსაზრისით, რათა დაბა სურამმა ახალი სიცოცხლე შეიძინოს და უახლოესი წლების მანძილზე ახალი შესაძლებლობებით წარსდგეს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი დამსვენებლების წინაშე.



პატივი მიაგეს 9 აპრილს დალუპულთა ხსოვნას

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის და ა(ა)იპ კულტურის ცენტრების გაერთიანების ორგანიზებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, 9 აპრილის დამეს, ტრადიციულად დადუპულთა მემორიალთან შეიკრიბნენ, რათა კიდევ ერთხელ გაეხსენებინათ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი მოვლენები. მუნიციპალიტეტის გამგებულმა გიორგი გურასპაშვილმა და გამგებლის მოადგილე ზურა ჩხიტიანიმ მემორიალი გვირგვინით შეამკეს, ახალგაზრდებმა კი სიმბოლური, წითელი ტიტებით მიაგეს პატივი გმირ თანატოლთა სულებს. დაინთო უამრავი სანთელი. ღონისძიებას, ტრადიციულად, ფონად გასდევდა ცნობილი მელოდია „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“. წმინდა მარინეს ტაძარში, 9 აპრილს გარდაცვლილთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდი აღევლინა.

სოფელ ახალსოფელში გზის ახალი მონაკბეთი ბაბითდა

ა(ა)იპ “ხაშურსერვისი“-ს მიერ ოსიაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ახალსოფელში გაიჭრა ახალი გზა. ამოსუფთავდა მდინარე და მისთვის განთავსდა მილი. ახალი გზისთვის მოიტრა მიწა, მოიხრეშა და მოსწორდა.

თათია კახეთელიძე ლონ- ლონში საქართველოს წარმომადგენელი

მორიგი წინსვლით გაგვახარა, ჩვენი მუნიციპალიტეტის ნიჭიერმა და წარმატებულმა ახალგაზრდამ, I საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლემ, თათია კახეთელიძემ, რომელსაც ჩვენი გახეთის მკითხველი მშვენივრად იცნობს. მიღწეული წარმატების შესახებ თათიამ თავად გვიამბო.

თათია კახეთელიძე, საქართველოს მომავლის აკადემია"-მ ჩაატარა საჯარო გამოსვლების მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტური საქართველოში, რომელიც გაიმართა ბრიტანულ კუთხეში. ბრიტანული კუთხე ყოველთვის გამოირჩევა მსგავსი აქტივობებით და ცდილობს წახალისოს ნიჭიერი ახალგაზრდები. მეც, შემთხვევით, ინტერნეტიდან გავიგე ამ პროექტის შესახებ და გადავწყვიტე მიმეღო მონაწილეობა, რომლის საშუალებითაც წარვადგენდი საქართველოს, მსოფლიოს საუკეთესო გამომსვლელებთან ერთად. შესარჩევი ტური ორ ეტაპად გაიყო. პირველ ეტაპზე საკმაოდ ბევრი მონაწილე იყო, რომელთაგანაც მხოლოდ ათი ბავშვი გადავიდა მეორე ეტაპზე და მათ შორის მეც. ფინლში კი გამარჯვებულად მე დამასახელა ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც ბრიტანეთის ელჩიც იმყოფებოდა. მიხარია, რომ მასზე შთაბეჭდილება მოვახდინე, სწორედ მან ითამაშა დიდი როლი ჩემს გამარჯვებაში. გავემზავრები ლონდონში, დასკვნით ეტაპზე, სადაც უკვე მსოფლიოს 60 ქვეყნის საუკეთესო გამომსვლელებთან მიმიწვეს ასპარეზობა.

წარმატებას ვუსურვებთ თათიას, დარწმუნებულნი ვართ, მიღწეული წარმატებას არ დასჯერდება და კვლავაც გვასახელებს, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.



სიმებიანი კვარტეტი საჯარო სკოლებს სცემობს

ხაშურის მუნიციპალიტეტთან არსებული სიმებიანი კვარტეტი აგრძელებს პროგრამას "მუსიკა და ბავშვები", რაც პოპულარიზაციას უწევს კლასიკურ მუსიკას. კვარტეტი აქტიურად იღებს მონაწილეობას ქალაქის ღონისძიებებში და ატარებს კონცერტ-ლექციებს საჯარო სკოლებში. ლექციები კვარტეტის წევრების ინიციატივით ტარდება, რათა სკოლის მოსწავლეები მეტად დაინტერესდნენ კლასიკური მუსიკით და ეზიარონ ხარისხიან მუსიკას.

სწორედ ასეთი სადამო ჩატარდა ხაშურის მე-5 საჯარო სკოლაში. მუსიკის მოსწავლეებმა - მაკა ცაცანაშვილმა, აქტიურად ჩართო მოსწავლეები ღონისძიებაში, ბავშვებმა თვითონვე წაიყვანეს სადამო, ისაუბრეს კომპოზიტორებსა და საკრავებზე. მსგავსი კონცერტები ჩატარდა - ხაშურის №1, №8 საჯარო სკოლებსა და დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-ლიცეუმში. მსგავსი სადამოები იგეგმება ქალაქის ყველა სკოლაში.



მარიამ კაპანაძე - „წაცარა მის საქართველოს“ - ნინ „წაცარა მის მსოფლიოს“ ...

მარიამ კაპანაძე ჯერ მხოლოდ 11 წლისაა და უკვე "პატარა მის საქართველოს" ტიტულს ატარებს. ძნელია, არ შეამჩნიო, სიფრიფანა, მწვანეთვალეობა, მორცხვი გოგონა. პოდა, არც გაჭირვებით, შეამჩნიეს და ტიტულიც უბოძეს - "პატარა მის საქართველოს". მარიამი ახლა "მის მსოფლიოსთვის" ემზადება. მზრუნველობას არ აკლებს დედა, რომელიც შვილის რეჟიმით ცხოვრობს და ფსიქოლოგიურადაც ამზადებს ამ რთული და მასშტაბური კონკურსისთვის. 50 ქვეყნის ულამაზესი ბავშვები თავს ბათუმში მოიყრიან, სადაც გარეგნული მონაცემების გარდა, სხვა უნარების ჩვენებაც მოუწევთ. დიდ კონკურსამდე, კი მარიამის დედას, ქალბატონ იას ვესაუბრეთ:

-სამოდელი სააგენტო „კატრინი“ ყოველწლიურად ატარებს სილამაზის კონკურსებს. რაც შეეხება მარიამის მონაწილეობას, სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდით. გასული წლის ნოემბერში ვიყავით კლუბ „ქალაქურში“, სადაც იმყოფებოდნენ მარკუს მეტრეველი და ეკა მგალობლიშვილი „კატრინის“ დამფუძნებელი). იქ დაინახეს მარიამი, იმდენად მოეწონათ, რომ შემომთავაზეს სტუდიაში მეტარებინა. რაღაც პერიოდის შემდეგ, ქალბატონი ეკა დამიკავშირდა და მთხოვა, მარიამი ჩამეყვანა. აბსოლუტურად უფასოდ ჩარიცხეს სტუდიაში. რაღაც პერიოდის მერე, დაიწყო "პატარა მის და მისტერ საქართველოს" კონკურსისთვის მზადება. ძალიან მონდომებული და გახარებული იყო ბავშვი, ისეთ გარემოში მოხვდა, რაზეც ყველა ბავშვი ოცნებობს.

- რას მოიცავდა კონკურსი?
- კონკურსი რამდენიმე ასაკობრივ კატეგორიად იყოფოდა, 4-დან 8 წლამდე და 8-დან 15-მდე. იყო მხოლოდ პოდიუმი. ბავშვები გამოვიდნენ შავი მაისურებით და შემდეგ უკვე სადამოს კაბებით. თუმცა, უკვე მსოფლიოზე, განსაკუთრებული ტალანტიც უნდა გამოავლინოს.
- ჟიურის შემადგენლობაში ვინ იყვნენ?
- ჟიური საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო და პოპულარული ადამიანებისგან იყო დაკომპლექტებული: მარკუს მეტრეველი, ქეთი ორჯონიკიძე, ქეთი გომართელი, ვერიკო ტურაშვილი, ფატუნა, მაკა შარიქაძე. რაც შეეხება უკვე "მის მსოფლიოს", აქ ყველა დიდი ქვეყნის წარმომადგენელი იქნება ჟიურში, რაც კომპეტენტურობის ხარისხს გავრდის.
- ახლა რა ეტაპზე იმყოფებით?
- ახლა ვემზადებით უკვე "მის მსოფლიოსთვის". მივემზადებებით ბათუმში. ძალიან საპასუხისმებლოა ჩემთვისაც და მარიამისთვისაც, რადგან უფრო მასშტაბურია და კონკურენციაც დიდია, თუმცა, რადგან



ეს საბავშვო კონკურსია, მინდა, რომ მარიამს სხვა დამოკიდებულება შევუქმნა-წაგების და მოგებისთვისაც სხვანაირად განვაწყო. ჩვენი ბათუმში ყოფნის პერიოდი ერთ კვირას მოიცავს, რომელიც ძალიან დატვირთული იქნება, სანახაობრივადაც, აქტივობების მხრივაც და სწავლის მხრივაც. გერმანიიდან ჩამოსული ადამიანი ასწავლის მანერებს, ქცევის წესებს და სხვადასხვა ეტიკეტებს. ვაპირებთ, ეკოპროექტისთვის ვიდუორგოლის გადაღებას. ვმუშაობთ ნუნუ გაბუნიას სიმღერაზე, ვიკრავთ ორ კაბას, ერთი უნდა იყოს ეროვნული სამოსი და მეორე სადამოს კაბა.

- როგორც ვიცი, მარიამთან ერთად, თქვენი მეორე შვილიც მონაწილეობდა "პატარა მის საქართველოს"ში.
- დიახ, ჩემი მეორე შვილიც მონაწილეობდა, სადაც "ვიცე პრინცესას" ტიტული მოიპოვა პატარებში. აგრეთვე, მონაწილეობდა ჩემი სტუდიის აღსაზრდელი, 4 წლის ანდრია გოლობიანი, რომელიც თავის ასაკობრივ კატეგორიაში "მისტერ საქართველოს 2017" გახდა.
ჩვენი გახეთის სახელით, წარმატებას ვუსურვებთ მარიამს და ბათუმშიდან მხოლოდ კარგ ამბებს ველოდებით.

თ. ჯავახიშვილი

როგორც ტოლსტოი იტყობდა: "ხელოვნება არის ადამიანში დაფარული გრძნობის უხუნაესი გამოვლინება", თუმცა, მეტნაკლებად გვეძლევა ადამიანებს ხელოვნებასთან მიახლოების და შეგრძნების უნარი. ფართოა მისი გამოხატვის ფორმები სივრცე-შეზღუდვების და აკრძალვების გარეშე. ხელოვნება არ სცნობს ერებს, რასას, სქესს, - ხელოვნება -

მინიატურული საოცრებები, რომელიც ჩვენს ქალაქში იქმნება

ამსხვრევს სტიმებს-აერთიანებს და კრავს განსხვავებული ქვეყნისა და მენტალობის ადამიანებს.

დავით სტეფანოვს კარგად იცნობენ ხელოვნების და სპორტის სფეროში. რაგბის წარმატებული მწვრთნელი თავისუფალ დროს ისეთ საოცარ მინიატურულ ნამუშევრებს ქმნის, რომლის ანალოგიც საქართველოში შეიძლება არც მოიძებნოს. დიდ შრომას დებს, წარმოსახვას. მასალად იყენებს ყველაფერს, რაც ჩვენგან დაწუნებული და უკვე გამოყენებულია. ნამუშევრების ნაწილი გააჩუქა. ცოტაც გაყიდა. და სანამ გამოფენისთვის მზადებას დაიწყო, მანმადე დასაწყისზე, განვითარებაზე და სპორტულ წარმატებებზეც ვისაუბრეთ:



- ბატონო დავით, არვიწყებ ბირველი, ვინც გულწრფელ ემოციას გამოხატავს თქვენი ნამუშევრების ნახვის შემდეგ. დამეთანხმებით, ეს ხელოვნების გაცრცელებული მიმდინარეობა არაა, რომელთან შეხებაც ბევრს შეუძლია. რა ჰქვია ამ სტილს ხელოვნებაში?

- ეს მიმდინარეობა, რომელსაც მე "ჰედლინს" ვეძახი, ძალიან პოპულარულია ამერიკაშიც და ევროპაშიც. ეს არის ზომების უარყოფა-

იქმნება მცირე მოცულობის სხვადასხვა ნივთები, სახლები ეზოებით, სკულპტურებით-თვა-ლით დანახული და აღქმული მინიატურა, მათი ზომა საშუალოდ 30 სმ-ია. ჩემი ნიშა მაქვს ამ მიმდინარეობაში, რომელიც სხვისას არ ჰგავს, ქართული ხასიათი აქვს დამატებული.

- საიდან მოვიდა ინსპირაცია იმის, რასაც მინიმალისტური ზომის მინიატურების კეთება შეიძლება ვუწოდოთ?

- ეს არის საქმე, რომელიც მიყვარს. ბავშობიდან ვხატავ. ეს ყველაფერი სათამაშოების კეთების სურვილიდან წამოვიდა და შემდეგ იქცა ხელოვნებად, პროფესიად. პირველი ნამუშევარი, რაც გააკეთე, დაახლოებით ოთხი წლის წინ, იყო მეგრული ოდა, რომელიც შემთხვევით ვნახე. გააკეთე მცირე ზომის მაკეტო, შემდეგ ეზო გაგუკეთე, სხვა დეკორაციები და აქედან მოხდა განვითარება უმნიშვნელო დეტალებამდე, რაც შეიძლება სხვისთვის ნაკლებად საინტერესოც კი ყოფილიყო. ჩემთვის მუშაობის პროცესი ძალიან დიდი აზარტია, დეტალურად ეხები მცირე ზომის ნივთებს, ქმნი მათ, სიცოცხლეს აძლევ, ზოგჯერ მოძრაობაშიც კი მოგვავს. ძალიან დიდ ნებისყოფასთანაა დაკავშირებული. დიდ სიზუსტეს მოითხოვს



- ძირითადად, რას აკეთებ?

- ოთხი წელია აქტიურად ვმუშაობ მანამდე მხოლოდ პატარა დეტალებს ვაკეთებდი, ყვავილის ქოთნის და სხვა დეკორაციებს. დაახლოებით 80-90 ნამუშევარი მაქვს გაკეთებული. ძირითადად სახლებია, ოდები ეზოებით, სადაც ყველა საჭირო ინვენტარი და დეკორაციაა. იყო ასეთი ნამუშევარი, რომელიც იტალიაში გავიდა-ქალაქი იყო, სადაც ყველა დეტალი მოძრაობაში მქონდა მოყვანილი.

ეს ყველაფერი თვითონ ვისწავლე. ის ცოდნა, რომელიც ინტერნეტიდან მივიღე, ბოლომდე გაუგებარი დარჩა ჩემთვის, ამიტომ თვითონ ვასრულებდი და გასაღებსაც ვარგებდი.

- თვითონაც აღნიშნეთ, რომ ძალიან შრომატევადია თითოეულ დეტალზე მუშაობა. დაახლოებით, მცირე ზომის ოდის შექმნას, რა დრო სჭირდება და თუ ახდენთ რეალიზებას? გაყიდვას ვგულისხმობ...

- დიდი ნაწილი საჩუქარია, თუმცა, გამიყიდა კიდევ. საზღვარგარეთ, მაგალითად, პატარა სოფელი 4000-5000 ევრო ღირს. ძირითადად, განუქებით ვარ დაკავებული.



ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე უშანგი კვალიაშვილი და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ბევრ ცნობილ ადამიანს, სპორტსმენებს, ხელოვნებს აქვთ ჩემი ნამუშევრები, ბევრი ახლაც მოხვას, ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ გაყიდვას ვერ ვახერხებ. ძალიან შრომატევადია, გააჩნია სირთულეს. ყველაზე დიდი დრო, რაც მოვანდომე, 3 კვირაა, რადგან მე ამაზე სისტემატურად ვერ ვმუშაობ, ჩემი ძირითადი საქმიანობიდან გამომდინარე. თუმცა, 2 კვირაშიც გამოიკეთებია. აქ მნიშვნელობა იმასაც აქვს, რა დეკორაციას ვაკეთებ დამატებით.

- არ ვიფიქრებთ თქვენი ნამუშევრების გატანა სხვა ქვეყანაში რეალიზების მიზნით?

- ჩემი ნამუშევრები განთავსებული მაქვს სხვადასხვა საიტზე. მაქვს შემოთავაზება საზღვარგარეთიდან, რაც ჩემს იქ წასვლას გულისხმობს. ნამუშევრის გატანა უფრო რთულია, უფრო მეტ დროსთან და ხარჯებთანაა დაკავშირებული, რასაც ამ ეტაპზე ვერ ვახერხებ ჩემი პირველადი საქმიდან გამომდინარე.

- რა მასალას და ხელსაწყოს ვნახავთ თქვენს სამუშაო მაგიდაზე?

- ჩემი ხელსაწყო არის საკანცელარიო დანა, წებო, ჩხირები, ხე და მეორადი გამოყენების ნივთები.

ძირითადად, სხვადასხვა ჯიშის ხეს ვიყენებ მასალად. ჩემი სამუშაო - მაგიდაა, რომელსაც ამავდროულად ოჯახიც იყენებს სხვადასხვა დანიშნულებისთვის. არ მაქვს სახელოსნო, სადაც დაჯდომას და მუშაობას შეუძლებ.

- როგორც ვიცით, ტელეკომპანია "იმედზე" მასტერ კლასებს ატარებდით...

- გადაცემა "რემონტი" იყო იმედზე, სადაც ტარდებოდა მასტერკლასი, გამოცხადდა კონკურსი, გავუზავნე ჩემი ნამუშევარი, რომელიც მოეწონათ და დამიკავშირდნენ. ერთი წლის განმავლობაში ვატარებდი მასტერკლასს სხვადასხვა თემებზე ყოველ შაბათ-კვირას.

ბევრი ტელევიზია მსტუმრობდა, ვიყავი დღის შოუშიც.

ახლაცაა შემოთავაზებები და დროის უქონლობის გამო, ვერ ვახერხებ ჩართვას.

- რაც შეეხება თქვენს პირველ და მომავლისმომცემ პროფესიას, რაგბის მწვრთნელობას. ბევრისთვის ალბათ, უცნობია, რომ ხაშურში ქალთა რაგბის გუნდი ჩამოყალიბდა...

- ოთხი წელია უშუალოდ ვმუშაობ ბავშვებთან, როგორც მწვრთნელი. ქუჩიდან მომყავდნენ ბავშვები, რომ ამერიდებინა უსაქმურობისთვის და მიმართულება მიმეცა. თვითონაც აქტიურად ვიყავი დაკავებული სპორტის ამ სახეობით, უმადლესი ლიგა მაქვს გამოვლილი,

სხვადასხვა გუნდებში ვიყავი, ახალგაზრდულ ნაკრებშიც ორი წელი ვთამაშობდი და ტრავმის გამო, დავანებე თავი. ძალიან დიდი რესურსია ხაშურში, თაობას მოყვება მეორე ნიჭიერი თაობა, წარმატებული სპორტსმენი, ნაკრების სახით რომ მოვითვალთ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში,

არის შვიდი. რაგბის აკადემიაში ორი ბიჭია ჩარიცხული, საქართველოს ჩემპიონატში, უმადლეს ლიგაში 15 ბიჭი რეგულარულად იღებს მონაწილეობას. გარდა ამისა, რაც აღსანიშნავი და სასიხარულოა - ქალთა რაგბიც შექმნა ხაშურში. დაინტერესებაც და ხელშეწყობაც დიდია ფედერაციის მხრიდან, რომელიც ამ გოგოების შემდგომ დასაქმებასაც გულისხმობს.



ნანი განჩილაძე და მაცვალა ხაჩიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ მედიკო გონგლაძე-ნოზაძისას დის ლეილას გარდაცვალების გამო.

გაზეთის "ხაშურის მოამბე" რედაქციის თანამშრომლები იუწყებიან ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარის უშანგი კვალიაშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. მ-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.